შვილდწლეულის მძლავრი ნაბიჯები

ვალენტინა გაგანოვა: — მოდით ვიმეგობროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი გამოცდილება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი № 34 (11645) | სამშაბათი, 9 თებერვალი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ვალენტინა გაგანოვას შრომითი გმირობა — ეს არის საქციელი ადამიანისა, რომელსაც დიდი მონდომებით სურს, რომ კომუნიზმი ჩვენს ქვეყანაში აშენდეს რაც შეიძლება მალე.

ნ. ხრუშჩოვი



ვ. გაგანოვა და პატარა სერგი. ფოტო ო. არობელიძისა.

1. ვალენტინა გაგანოვა და მისი მეგობრები

„ვალენტინა გაგანოვას შრომითი გმირობა — ეს არის საქციელი ადამიანისა, რომელსაც დიდი მონდომებით სურს, რომ კომუნიზმი ჩვენს ქვეყანაში აშენდეს რაც შეიძლება მალე". — ამ სიტყვებით დაახასიათა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ვიშნი ვოლოჩეკის შრომის წითელდროშოვანი ბამბეულის კომბინატის მოწინავე ბრიგადირი, აწუამად სოციალისტური შრომის გმირი, შესანიშნავი საბჭოთა მოქალაქე.

რუსი ქალის პატრიოტული თაოსნობის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს იქითაც. ასევე სწრაფად გაიზარდა მის მიმდევართა რიცხვიც.

„ვიშნი ვოლოჩეკი. ბამბეულის კომბინატი. ვ. გაგანოვას". ამ მისამართით მრავალ ხალხთა სხვადასხვა ენებზე დაწერილი მეგობართა გულთბილი წერილები, ამ მისამართით ჩამოდიან ეურნალისტები, კინოოპერატორები, რადიოკომენტატორები...

* * *

ჩქარი მატარებელი მოსკოვი-ლენინგრადი მისრიალებს ლარივით სწორ მაგისტრალზე. ვაგონში მხიარული განწყობილებაა. ადგილობრივი საკვანძო ქალი გადმოსცემს რუსულ ხალხურ სიმღერებს. თბილა. ფანჯრის იქით კი — უკან მირბიან თეთრ სამოსელში გახვეული ტრამალები. ირგვლივ თოვლია, თოვლი, თოვლი...

— ქართველები ხართ? — გვეკითხება მოხუცი მგზავრი. ეტყობა, ბაასი უნდა.

ჩვენც ვუპასუხეთ.

— ასეც ვიცოდი! — თან ღიმილით დასძენს: — ჩვენში იშვიათია, რომ ახალგაზრდა კაცი ულვაშს ატარებდეს. კარგი კუთხეა საქართველო თავისი ხტუმართმოყვარე ხალხით. სამამულო ომში ბევრი ქართველი იბრძოდა ჩვენს ნაწილში, ცეცხლივით ბიჭები იყვნენ... ეურნალისტები ხართ? საით მიბრძანდებით? აა, გაგანოვასთან?...

* * *

ბამბეულის კომბინატი რკინიგზის სადგურის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. შორიდან მოჩანს მისი გიგანტური კორპუსების სილუეტები. საწარმოს არსებობის 103 წლის ისტორია აქვს.

კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა პავლე პავლეს-ძე სკობოლევმა მიგვიღო.

— უნდა გამოგიტყდეთ, მეგობრებო, რომ ცოტა ცუდ დროს ჩამობვედით. ვალენტინა გაგანოვა ჯერ კიდევ შვებულებაშია. მაგრამ არა უშავს, მზიური საქართველოს წარმოგზავნილებს ღირსეულად დაგხვდებით. — შემდეგ ხუმრობით განაგრძო — არ გეწყინოთ, მოუსვენარი ხალხი ხართ ეურნალისტები. თქვენ მხოლოდ იმეორებთ: ეს ცნობა მომეცით, აქამდე როგორი იყო კომბინატი, ახლს რას ფიქრობთ, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ ასეთ კითხვას დაგვაყრით. ახლა კი რა გვეშველოს. ვერ წარმოიდგენთ, რა იყო პირველ დღეებში. ვალენტინას მოსვენებას არ აძლევდნენ. საიდან არ ჩამოდიოდნენ კორესპონდენტები. იყო „ბლიცების" ჩხაკუნი. ამას ახლა ჩვენი „ცოდვებიც" დაუმატეთ! კომბინატის პარტიული კრებაა—აბა, ვალენტინა, სიტყვით გამოდი, ქალაქის აქტივის კრებაა—აქაც. ჩვენს მხარეში ჩამოვიდა ერთ-ერთი მარშალი. მისთვის ნიკიტა სერგის-ძეს უთქვამს ვალენტინა გაგანოვას სთხოვე დემობილიზებულ ოფიცრებთან სიტყვით გამოვიდესო. ეს იყო საუცხოო შეხვედრა. ვალენტინამ აქაც გვასახელა. რა უთხრა ოფიცრებს? ხამუშაოდ ჩვენს კომბინატში მოდითო. მართალია, პირველად შეიძლება იმდენი ხელფასი არა გქონდეთ, როგორიც გქონდათ, მაგრამ არა უშავს. მეც მაღალი გამომუშავების ბრიგადიდან დაბალი გამომუშავების ბრიგადაში გადავედი, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავს კარგად ვგრძნობ. რასაც დასთეს, იმას მოიმკიო...

სკობოლევმა აიღო ყურმილი და სთხოვა ქვესადგურს შეეერთებინათ გაგანოვას ბინა...

მალე კომბინატის ხართავი ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ტატიანა პოლიანსკაიას თანხლებით ვალენტინა გაგანოვას ბინისაკენ გავწიეთ.

ტატიანა კარგი მოსაუბრე გამოდგა. მან გვითხრა, რომ გაგანოველთა მოძრაობამ მარტო შარშან კომბინატს დამატებით მისცა 168 ტონა მაღალხარისხოვანი ნართი და 178 ტონა ხამი ქსოვილი.

— მეორე დადებითი მხარე ამ ნამდვილად სახალხო საქმისა, — განაგრძობს იგი, — არის მოწინავეთა მორალური ზემოქმედება იმ მუშებზე, რომლებსაც საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ. ამუამად კომბინატში 89 მოწინავე მუშამ მიბაძა სოციალისტური შრომის გმირს ვ. გაგანოვას მაგალითს. 1.740 კაცზე მეტი იბრძვის იმისათვის, რომ მოიპოვოს საპატიო უფლება ატაროს კომუნისტური შრომის ადამიანის სახელი.

— კიდევ რომელი ინიციატივის ავტორია გაგანოვა?

— ო, ეს დაუდგრომელი, მუდამ მიღწეულით უკმაყოფილო და ახლის მაძიებელი ქალია. შარშან, საწამ ამ საგმირო საქმეს ჩაიდენდა, მან წამოიწყო შეჯიბრება დანადგარების ნაყოფიერების გაზრდისათვის. და შედეგიც კარგი მოგვცა. ფაბრიკამ დანადგარების ნაყოფიერება ერთი საათის განმავლობაში 1958 წელთან შედარებით 1.000 თოთისტარზე გაზარდა 4,8 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება ერთ მუშახელზე — 5,1 პროცენტით.

ვალენტინა გაგანოვა გულთბილად შეგვხვდა. რუსული ადათისამებრ კეთილი მობრძანება გვისურვა.

ბევრჯერ ხდება ხოლმე ასე: ადამიანს პირველად ხვდები, პირველად იწყებ მასთან საუბარს, მაგრამ იგი უკვე შენთვის დიდი ხნის ნაცნობია. ასე დაგვმართა ჩვენც... სუფთა, დაკრიალებულ ოთახს გამრჯე დიასახლისის ხელი ეტყობოდა.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

Последовательницу моей почки Елене Гегеламян желаю больших успехов во втором году семилетки. Я очень рада, что и в Грузии мой почин нашел широкое распространение.
Хотелось-бы познакомиться лично с вами, поделиться опытом и обсудить планы на будущее.
Приезжайте к нам, будем всегда рады.
С уважением
Валентина Гаганова
27.1.60 г.

სსრ კავშირისა და იტალიის მეგობრობისათვის

პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი მოსკოვში

მოსკოვს ჩამოსულმა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ 6 თებერვალს კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს. კ. ე. ვოროშილოვსა და ჯოვანი გრონკის შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იმავე დღეს იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯოვანი გრონკის შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

* * *

6 თებერვალს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯუზეპე პელამ, რომელიც მოსკოვს ჩამოვიდა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოვანი გრონკისთან ერთად, ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს და საუბარი ჰქონდა მასთან.

* * *

6 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის პატივსაცემად.

სადილზე პრეზიდენტთან ერთად იყვნენ მისი მეუღლე და ვაჟი, აგრეთვე მისი თანმხლები პირნი.

საბჭოთა მხრივ სადილზე იყვნენ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო და დ. თ. უსტინოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი და სხვები.

სადილის დროს, რომელმაც თავისუფალ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, კ. ე. ვოროშილოვმა და პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ მეგობრული სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

* * *

7 თებერვალს დღის მეორე ნახევარში იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი გაემგზავრა მთავრობის ქალაქგარეთა აგარაკში. აქ იგი იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი ოჯახის სტუმარი.

პრეზიდენტთან ერთად იყვნენ მისი მეუღლე და ვაჟი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პელა, იტალიის ელჩი სსრ კავშირში გრაფი ლუკა პიეტრომარკი მეუღლითურთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულღიად შეხვდა პრეზიდენტ გრონკის აგარაკის ახლოს. საპატიო სტუმარმა იტალიელმა და მისმა თანამგზავრებმა საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურთან ერთად გაიარეს პარკის ხეივნებში.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა მეუღლემ სტუმრები სადილად მიიწვიეს.

აგარაკზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ და სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი მეუღლითურთ.

აგარაკზე პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის ყოფნის დროს გაიმართა თავისუფალი, მეგობრული საუბრები.

* * *

მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით მყოფი იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯოვანი გრონკი 7 თებერვალს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში დაესწრო პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტს „გედის ტბა".

სპექტაკლზე ცენტრალურ ლოჟაში პრეზიდენტთან ერთად იყვნენ მისი მეუღლე და ვაჟი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პელა, იტალიის ელჩი სსრ კავშირში გრაფი ლუკა პიეტრომარკი მეუღლითურთ და სხვა ოფიციალური პირები.

იტალიელ საპატიო სტუმართან ერთად ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი მეუღლითურთ, სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ს. პ. კოზირევი მეუღლითურთ.

* * *

8 თებერვალს კრემლში გაიმართა საუბარი საბჭოთა ხელმძღვანელებსა და იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოვანი გრონკის შორის. საუბარში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები. იტალიის მხრივ პრეზიდენტთან ერთად — საგარეო საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პელა და იტალიის სხვა წარმომადგენლები.

საუბრის დროს, რომელმაც გულწრფელობის სულისკვეთებით ჩაიარა, მოხდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე.

* * *

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ 8 თებერვალს იტალიის საელჩოში საუზმე გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

კ. ე. ვოროშილოვთან ერთად საუზმეზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი და სხვები.

საუზმის დროს პრეზიდენტმა ჯოვანი გრონკიმ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მეგობრული სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკვლევი)

სიმინდი—სიუხვის წყარო

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, სერიოზული ყურადღება მიექცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის წარმოების გადიდებას. საკმარისია ითქვას, რომ სიმინდის საერთო მოსავალმა მარცვლად 1959 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში შეადგინა 314 ათასი ტონა ნაცვლად 1953 წლის 229 ათასი ტონისა.

ახლა კოლმეურნეები, უწინარეს ყოვლისა კი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები, ნათლად დარწმუნდნენ სიმინდის უპირატესობაში სხვა საკვებ კულტურებთან შედარებით. ამიტომ არის, რომ ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას უთმობენ სიმინდის ნათესების გაფართოების, ამ კულტურის მოსავლიანობის გადიდების საკითხებს და კარგ შედეგებსაც აღწევენ. ამ მხრივ აღსანიშნავია გურჯაანის და ახმეტის რაიონები. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა 1.792 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე შარშან მიიღეს 30,2 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა — 2.960 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ერთ ჰექტარზე — 29,5 ცენტნერი. კიდევ უფრო მეტი წარმატებები აქვთ ცალკეულ კოლმეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებსა და კოლმეურნეებს. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობაში კ. სანდუხაძის რგოლმა 15 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 1959 წელს მიიღო 130 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო მერგოლურმა მისთვის მიჩენილ ნაკვეთზე — 154 ცენტნერი ჰექტარზე. ასეთი მაგალითები ერთეული როდია.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ინტერესები მოითხოვს კიდევ უფრო გავადიდოთ სიმინდის ნათესების ფართობი, გავზარდოთ მოსავლიანობა.

დამატებითი საკვების მიღების დიდი წყაროა სიმინდის ნათესები ნაწვერალზე, რომლებიც შარშან რესპუბლიკაში 32 ათას ჰექტარს შეადგენდა. მთელი რიგი რაიონები ჯერ კიდევ არ იყენებენ საკვების გადიდების ამ დიდ რეზერვს, ხოლო ზოგიერთმა რაიონმა კიდევაც შეამცირა ნაწვერალზე ნათესების ფართობი. მაგალითად, კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა 9.987 ჰექტარი ნაწვერალიდან სიმინდის დასათესად 1958 წელს გამოიყენეს მხოლოდ 600 ჰექტარი, 1959 წელს კი — 230 ჰექტარი. ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა 1958 წელთან შედარებით შარშან 490 ჰექტარით შეამცირეს ნაწვერალზე დასათესი სიმინდის ფართობი. ნაწვერალზე სიმინდის თესვისადმი ასეთი დამოკიდებულება არაფრით არ არის გამართლებული.

როგორც საქართველოს კომპარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, მარცვლეული კულტურების საერთო ნათესებში სიმინდის ხვედრითი წონა ჯერ კიდევ დაბალია: კასპის რაიონში იგი შეადგენს 39 პროცენტს, თელავის რაიონში — 34, საგარეჯოს — 32, გურჯაანის — 29, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში — 28, წითელწყაროს რაიონში — 25 და სიღნაღის რაიონში — 20 პროცენტს. აუცილებელია ამ უთანაბრობის გამოსასწორებლად წელსვე საჭირო ღონისძიებანი განხორციელონ აღნიშნული რაიონების ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა ამ კულტურის მტკიცე აგროტექნიკურ ვადებში და კვადრატულ-ბუდობრივად თესვა, ნათესების დამუშავება. მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უხეშად არღვევენ აგროტექნიკურ ვადებს, უგულებელყოფენ სიმინდის თესვის პროგრესულ წესს, აბიანურებენ სიმინდის ნათესების დამუშავებას. გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და მთელ რიგ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაკები დაუშვებელ კონსერვატიზმს იჩენენ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისადმი. ეს პროგრესული ღონისძიება უგულებელყოფილია განსაკუთრებით რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში, სწორედ ამის შედეგი იყო, რომ შარშან კვადრატულ-ბუდობრივი წესით დაითესა მხოლოდ 29.000 ჰექტარი, მაშინ როცა სიმინდის მთელი ნათესი ფართობი რესპუბლიკაში 257.000 ჰექტარს შეადგენდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკაში სიმინდის წარმოების გადიდების ღონისძიებათა საკითხი და დასახა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობების წინაშე ამ მიმართულებით მდგომი სერიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან გადასინჯონ ნათესი ფართობების სტრუქტურა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში იმ აზრით, რომ მაქსიმალურად გაადიდონ სიმინდის ნათესი ფართობები ძირითადად ნაკლებპროდუქტიული თავთავიანი კულტურების შემცირების გზით.

საგაზაფხულო ბვნა-თესვა კარზეა მომდგარი. საჭიროა ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ შვიდწლეულის მეორე წლის გაზაფხულს. ეს ნიშნავს: დროზე მოვიმარაგოთ საჭირო რაოდენობით სიმინდის თესლი, ავიყვანოთ ის სრულ კონდიციამდე, დავაყალიბოთ და ვიქონიოთ თესვისათვის მზა მდგომარეობაში; მოვამზადოთ ტრაქტორები და სათესი აგრეგატები, მოვიმარაგოთ მათი სათადარიგო ნაწილები; მოვამზადოთ კადრები სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვისათვის; სრულ წესრიგში მოვიყვანოთ სარწყავი ქსელი სეზონისათვის.

მიმდინარე წელს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საბრძოლო ამოცანაა ჩაღონ სულ მცირე 2,2 მილიონი ტონა სილოსი. ამ ამოცანის წარმატებით შესრულების გარანტიას წარმოადგენს რძიან-ოდოში სიმწიფის სტადიაში ასაღები სიმინდის ფართობის მაქსიმალურად გადიდება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა მოვალეობაა აქედანვე დასახონ ღონისძიებანი როგორც ძირითადი, ისე სანაწვერალო სიმინდის ფართობის გასადიდებლად, მტკიცე აგროტექნიკური ვადებში დასათესად და ნათესების დასამუშავებლად.

ამოცანა ნათელი და გასაგებია: სადაც კი შეიძლება — ვთესოთ სიმინდი, მაქსიმალურად გავადიდოთ მისი წარმოება!

მახარაძელები გენიჩესკში

მახარაძე. („კომუნისტის" საკ. კორ.). 8 თებერვალს, გენიჩესკის რაიონში გაემგზავრა მახარაძელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან: **ა. თოიძე** (რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დელეგაციის ხელმძღვანელი), **დ. უჯმაჯურიძე** (ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიე), **ც. ლომინაძე** (სოფლის მეურნეობის ინსპექციის ზოოტექნიკოსი), **გ. ბურჭულაძე** (პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი), **შ. სარიშვილი** (ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და **ვ. ჭანუყვაძე** (რაიგაზეთის რედაქციის მუშაკი).

მახარაძელთა დელეგაცია გენიჩესკში რამდენიმე დღეს დარჩება, შეამოწმებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და გააფორმებს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას 1960 წლისათვის.

მეტი კარგი საქონელი სოფელს

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურმა კრებამ განიხილა საკითხი იმ ამოცანების შესრულების შესახებ, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია სოფლად ვაჭრობის გაფართოების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და გადამუშავების დარგში. კრებამ მიიღო შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

უზრუნველყოფილ იქნას საცალო საქონელბრუნვის 1960 წლის გეგმის შესრულება, საზოგადოებრივი კვებისა და საკომისიო ვაჭრობის ბრუნვის ჩათვლით, ვადამდე და გეგმის გადამეტებით მიეყიდოს მოსახლეობას 20 მილიონი მანეთის საქონელი.

ამაღლდეს ვაჭრობის კულტურა. ფართოდ დაინერგოს მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რისთვისაც 1960 წელს მოეწყოს თვითმომსახურების 25 მაღაზია; სოფლის უნივერმაღებში შეიქმნას წიგნით ვაჭრობის 100 სპეციალიზებული განყოფილება; 40 მაღაზიაში მოეწყოს ვაჭრობა ნიმუშების მიხედვით — საქონლის ღიად გამოფენის გზით; მეცხოველეობის ფერმებთან, სკოლებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, აგრეთვე რაიონულ ცენტრებში გაიხსნას 135 უგამყიდველო ფარდული.

გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ დამზადებული კერძების ხარისხი; გაფართოვდეს სამზარეულოს პროდუქციის ასორტიმენტი და საკუთარი პროდუქციის ხვედრითი წონა საერთო ბრუნვაში აყვანილ იქნას 34 პროცენტამდე.

მიღწეულ იქნას საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების, ქარხნებისა და სკოლების სასადილოებში კერძების გაიაფება 5 პროცენტით.

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაცია 1960 წელს თავის წვლილს შეიტანს რესპუბლიკაში ხორცის წარმოების მკვეთრი გადიდების საქმეში. ღორების, ცხვრების, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ფრინველის გასუქების გზით საზოგადოებრივი კვების საწარმოებს გადაეცემათ 3.800 ცენტნერი ხორცი, ხოლო სახელმწიფოს მიეყიდება 6.200 ცენტნერი ხორცი ცოცხალი წონით.

ცეკავშირის სისტემის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმები შეასრულონ 1960 წლის 20 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით შეისყიდონ 500 ტონა კურკიანი ხილი, 1.000 ტონა თესლოვანი ხილი, 500 ტონა მანდარინი, 100 ტონა დაფნის ფოთოლი, 200 ტონა ბაღჩეული კულტურები.

წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 200 ათასი პირობითი ქილა კონსერვები და 10 ტონა ციტრუსოვანთა ნაყენი.

ცეკავშირის სამრეწველო საწარმოებმა იკისრეს 1960 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ვადამდე — 7 ნოემბრისათვის დაამთავრონ მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადასცენ 10 რაიმაღაზია, 40 სასოფლო მაღაზია, 25 სასადილო და რესტორანი, 15 პუნსაცხობი, 5 წიგნის მაღაზია, 3 კონსერვის ქარხანა, 400 ტონის ტევადობის მაცივრები და 2.000 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

1960 წელს კოოპერირება აყვანილ იქნას მოზრდილი მოსახლეობის 60 პროცენტამდე.

* * *

საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურმა კრებამ სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკს მიმართა მოწოდებით ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება.

შვიდწლედის ფონდში

1.

ადამიანებო, თქვენთვის!

მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მუშაობის გამოცდილებიდან

თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკას 1959 წლისათვის დაგეგმილი ჰქონდა 650.000 მანეთის ზარალი, მაგრამ საწარმოს კოლექტივმა ისე ააწყო თავისი მუშაობა, რომ წლიური საწარმოო დავალება 25 დღით ადრე შესრულა, პროდუქციის ხარისხი გეგმასთან შედარებით 4,4 პროცენტით აამაღლა, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 9,3 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 1,3 პროცენტით შეამცირა, დაზოგა 60 ათასი კვადრატული მეტრი ქსოვილი. ყოველივე ამის შედეგად შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში ფაბრიკის კოლექტივმა შეიტანა 2 მილიონ 143 ათასი მანეთი.

როგორ მოახერხა ეს ფაბრიკის კოლექტივმა?

რა არის საჭირო იმისათვის, რომ შრომის ნაყოფიერება ავამაღლოთ მთელ ფაბრიკაში ყველა უბანზე? ასე დააყენეს საკითხი ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მოწვეულ საწარმოო თათბირზე, რომელიც გასული წლის დასაწყისში შედგა და რომელსაც, ფაბრიკაში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებს გარდა, დაესწრნენ წარმოების მოწინავე ადამიანები. ბევრი სიტყვა ითქვა ამ თათბირზე, ბევრი აზრი გამოითქვა და ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივიდნენ:

შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად საჭიროა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, წარმოების კულტურის ამაღლება, შემასულ რაციონალურ წინადადებათა გაბედულად დანერგვა.

უწინარეს ყოვლისა ხელი მოჰკიდეს კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

ფაბრიკაში შემოღებულია კონვეიერული სისტემით მუშაობა. მოძრაობს კონვეიერი, მას ორივე მხრიდან მკერავები შემოსხდომიან. ყოველი მუშა-მკერავი ასრულებს ტანსაცმლის შეკერვის ერთ რომელიმე ოპერაციას. წინათ ასე იყო: თუ ავადმყოფობის ან სხვა რამ საპატიო მიზეზის გამო რომელიმე მკერავი არ გამოცხადდებოდა, მის ადგილზე კონვეიერზე სამუშაოდ მოჰყავდათ სხვა მუშა, რომელსაც ხშირ შემთხვევებში უხდებოდა მისთვის უცხო ოპერაციის შესრულება. ეს იწვევდა წუნს, აფერხებდა კონვეიერის მოძრაობას, აქვეითებდა კონვეიერზე მომუშავეთა შრომის ნაყოფიერებას.

ამიტომ გადაწყვიტეს ყოველ მკერავ მუშას შეესწავლა 2-3 ოპერაციის შესრულების ოსტატობა, რათა საჭიროების შემთხვევაში მუშებს ერთმანეთი შეეცვალათ. ამ მიზნით 1959 წლის განმავლობაში კვალიფიკაცია აიმაღლა და მოხალისეებად საწარმოო ოპერაციები შეისწავლა 530 მკერავმა.

ამ ღონისძიების შედეგად შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ასეთივე ზრდა არ დაეტყო პროდუქციის ხარისხს. საჭირო იყო რაღაც დამატებითი ღონისძიების განხორციელება.

— შემოვიღოთ საზოგადოებრივი კონტროლის სისტემა! — გამოთქვეს მუშებმა აზრი. ეს წინადადება შეესწავლეს და მისი ორგანიზაციულად განხორციელების გეგმა დამუშავეს. ახლა ყოველ სამკერვალო კონვეიერზე ყოველი მეხუთე მკერავი, რომელსაც გამოცდილება და მოწინავე ადამიანის სახელი აქვს დამსახურებული, საზოგადოებრივ კონტროლიორად არის გამოყოფილი და განმასხვავებელ ნიშნად მის წინ კონვეიერზე აღმართულია პატარა ალამი. თუ რომელიმე მკერავმა ტანსაცმელზე ნაკერი დაუშვა, კონტროლიორი მას დაუყოვნებლივ უკანვე უბრუნებს დეფექტს.

საზოგადოებრივი კონტროლიორების ინსტიტუტის შემოღების შემდეგ პროდუქციის ხარისხი მკვეთრად ამაღლდა და ეგმით გათვალისწინებულზე გადამეტებით პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 4,4 პროცენტით გაიზარდა.

2.

პროდუქციის საფაბრიკო თვითღირებულება, ცხადია, დიდად დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მაგალითად, საფაბრიკო ხარჯების შემცირებაზე, ელით შრომის ნაცვლად მანქანით შრომის შემოღებაზე, ძირითადი და დამხმარე ასალების მომჭირნეობით გამოყენებაზე.

ფაბრიკის კოლექტივმა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში თავისი წვლილის ეტანის უზრუნველსაყოფად იკისრა ლის განმავლობაში დაეზოგა 15.000 ვადრატული მეტრი ქსოვილები და აქეთან შეკერილი ტანსაცმლის ღირებულებისაგან შემდგარი თანხა შვიდწლედის ვონდში შეეტანა.

ქსოვილის ეკონომიის გაწევა შეეძლებოდა მხოლოდ საგამომჭრელო საამქროში. ამ ქსოვილს დასტა-დასტა ტრაფარეტებიან ფენენ გრძელ მაგიდებზე, ზედ აწყობენ სათანადო თარგებს და შემდეგ ახდენენ გამოჭრას. თუ თარგებს უფრო მიზანშეწონილად განვალაგებთ, ეკონომიას ვიღებთ, მაგრამ ამას დიდი დრო სჭირდება. ამ კი გამოჭრა ისევე სწრაფად უნ-

⊙ მუშათა შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 9,3 პროცენტით. ⊙ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გადიდდა 4,4 პროცენტით. ⊙ პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 1,3 პროცენტით, დაზოგილია 60 ათასი მეტრი ქსოვილი. ყოველივე ამის შედეგად შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში ფაბრიკის კოლექტივმა შეიტანა 2 მილიონ 143 ათასი მანეთი.

ზუსტი ზომით გამოჭრილი გამოდის. ხელით შემსწორებლები (ყოველ ერთ ბრიგადაში ერთი მუშა იყო) განთავისუფლდნენ ამ სამუშაოსაგან და გადაყვანილ იქნენ კონვეიერებზე. მარტო ამ ღონისძიებით ფაბრიკამ 14.000 მანეთი ეკონომია მიიღო.

ყველა სამკერვალო ფაბრიკაში იყენებენ ე. წ. საბეჭურებს, რომლებსაც ამზადებენ ბამბის ფენისაგან ორივე მხრიდან შემოკერებული ქსოვილით. ნორმადარმა ლევან არაქელიანმა შემოიტანა წინადადება, რომ ამ საბეჭურებისათვის ბამბის გამოყენებაზე უარი ეთქვათ, სამაგიეროდ გამოიყენებინათ უსარგებლო, გადასაყრელი პატარ-პატარა ნაჭრები, რომლებსაც თუ სათანადო სისქის ფენად დავაწყობდით საბეჭურისათვის გამოჭრილი ქსოვილის ნაჭრებზე და გარდიგარდმო გავკერავდით, მეორე მხრიდან საბეჭურისათვის ქსოვილის ნაჭრის დადება ზედმეტი იქნებოდა. ამით ქსოვილისა და ბამბის ეკონომიასაც მივიღებდით და უსარგებლო ნარჩენებსაც გამოვიყენებდით.

ეს წინადადებაც მოიწონეს, დაუყოვნებლივ დანერგეს და ამის შედეგად წლის განმავლობაში მიიღეს 7.376 მეტრი ბიაზის ეკონომია, დაზოგეს 3.614 კილოგრამი ბამბა და წარმოებას მისცეს 72.000 მანეთი ეკონომია.

კიდევ ერთი გაუმჯობესების შესახებ. მამაკაცის პიჯაკის დამუშავება მეტ შრომას მოითხოვს. პიჯაკზე კალთისქვეშა სარჩულის შემოკერვა სრულდება საეციალური მანქანით, მაგრამ შემდეგ სარჩულის შემოჭრა ხელისმაკრატლით ხდება. მეორე საამქროს მექანიკოსმა გიორგი ნატრაძემ ბევრი იფიქრა, როგორ განეხორციელებინა მანქანით სარჩულის შემოკერვასთან ერთად მისი შემოჭრაც და ეს საქმე წარმატებით გადაწყვიტა. მანქანის იმ დეტალზე, რომელსაც ნაკერი გაჰყავს, მოარგო დანა. ახლა ასეთი დანებით აღჭურვილია ამ კლასის ყველა მანქანა. მანქანა შემოკერავს პიჯაკს კალთისქვეშა სარჩულს და თანაც სჭრის საჭიროზე გადანამეტ ქსოვილს.

ყოველივე ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა 15 ათასი კვადრატული მეტრის ნაცვლად 60.000 კვადრატული მეტრი ქსოვილის ეკონომია გასწია, საწარმოო ხარჯები სასაქონლო პროდუქციის ღირებულების ყოველი ერთი მანეთის ხვედრად ნაცვლად 0,4 კაპიკისა 0,7 კაპიკით შეამცირა.

3.

თუ რა მნიშვნელობა აქვს საწარმოს გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი პროფკავშირულ-ორგანიზაციის მოქნილობას, მისთვის ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერას, ნათლად ჩანს ამ ფაბრიკის მაგალითიდან.

წინათ ამ ფაბრიკის კოლექტივიც ვერ დაიკვეხნიდა შრომის დისციპლინის სიმტკიცეს, მაგრამ ერთსულოვანმა მისწრაფებამ — თავი ესახელებინათ შვიდწლედის ექვს წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ რესპუბლიკურ ფონდში, მტკიცედ ჩამდგარიყვნენ მოწინავეთა რიგებში — გამოიწვია კოლექტივის მონოლითური დარაზმულობა. სამუშაოზე თუნდაც ერთი კაცის დაგვიანებით გამოსვლა აფერხებს მთელი აგრეგატის მუშაობას. ეს რომ არ მოხდეს, დაგვიანებულის ნაცვლად აგრეგატებზე სამუშაოდ გადაჰყავთ სხვა, ხოლო დაგვიანებულად მოსული მკერავი იძულებული ხდება იმ „სხვის“ ადგილას იმუშაოს, რაც მისთვის გამომუშავების მხრივ ზოგჯერ ხელსაყრელი არ არის.

ამან გამოიწვია შრომის დისციპლინის ამაღლებასთან ერთად პროდუქციის ხარისხის ამაღლებაც, რეკლამაციების მკვეთრად შემცირება, მზა პროდუქციის ჩამოფასების გამო ჯარიმებისაგან თავის დახსნა.

აღსანიშნავია, რომ მარტო 1958 წელს ფაბრიკამ სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მიიღო 111 რეკლამაცია და ჯარიმების სახით საქონლის ჩამოფასების, მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანის შედეგად გადაიხადა 276.000 მანეთი, ხოლო 1959 წელს მიღებულია სულ 56 რეკლამაცია, ხოლო ჯარიმის თანხა 127.000 მანეთს ძლივს აღწევს და ისიც წლის პირველი თვეების განმავლობაში გამოშვებულ პროდუქციაზე.

მასების დარაზმულობის, შრომისადმი შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულების ჩვევათა დანერგვისათვის მებრძოლ შტაბად მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში გვევლინება აღგილობრივი საფაბრიკო კომიტეტი, რომელსაც დიდ დახმარებას და მხარდაჭერას უწევს პარტიული ორგანიზაცია.

ხშირად მომხმარებლები საყვედურს გამოთქვამენ სამკერვალო მრეწველობის მუშაკებისადმი: დაუდევრად შეკერილ ტანსაცმელს უშვებენ, მოძველებული მოდელებისას, პალტოს, პიჯაკს ღილები მეორე დღესვე სწყდება, შეკერვის კულტურა დაბალიაო.

მე-7 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა შვიდწლედის მეორე წელს იკისრა ახალი ვალდებულებები — მიაღწიოს წარმოების კულტურის ამაღლებას, დანერგოს წარმოებაში უახლესი მოდელების ტანსაცმლის გამოშვება, შეინარჩუნოს შვიდწლედის პირველი წლის განმავლობაში აღებული ტემპი და შემდგომ უფრო გაიორმაგოს ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის ბრძოლა.

ვამრავლოთ მკერავთა ამ მოწინავე კოლექტივის წარმატება, ვისარგებლოთ მათი გამოცდილებით, მომჭირნეობით მიღებული თანხებით გავამდიდროთ შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდი — ასეთია საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოო კოლექტივის ამოცანა.

ზ. ჯამასპიშვილი,
დ. ლომთაძე.

* * *

სურათზე: თარგების ჩამწყობი გივი ჯლანტიაშვილი (შუაში) ესაუბრება მკერავებს თარგების ზუსტად ჩაწყობის მნიშვნელობაზე.

ფოტო გ. გოგობიანი.

სურათზე: ბრიგადირი ნადეჟდა პეჩორინა (მარჯვნიდან მეორე) ნართის ხარისხს უმოწმებს ახალგაზრდა მრთველებს.

ფოტო ო. არობელიძისა.

ათასები...

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის პატრიოტულ მოწოდებას შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნის შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს საწარმოთა კოლექტივები.

ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივში გაეცნენ ქუთაისელთა ამ ღირსშესანიშნავ თაოსნობას, შეისწავლეს ყველა საამქროს ფარული რეზერვები, შეადგინეს მუშაობის კალენდარული გეგმა, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი საამქროებში ვიწრო ადგილების დაძლევისათვის, დადგეს ახალი მანქანები, დანერგეს ხის დამუშავების მოწინავე ტექნოლოგია, განახორციელეს შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, ზუსტი კონტროლი დააწესეს პროდუქციის ხარისხის დაცვისადა ყოველდღიური დავალების შესრულებისადმი.

გონივრულმა და თავდადებულმა შრომამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. **ფაბრიკის კოლექტივმა გასული წლის დავალება ვადამდე შეასრულა, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლა 2,7 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა 9,6 პროცენტით, დაზოგა 324 ათასი მანეთის ძირითადი და დამხმარე მასალები, 41 ათასი მანეთის ელექტროენერგია და სათბობი, 370 ათასი მანეთით შეამცირა ზედნადები და არასაწარმოო ხარჯები.**

ყოველივე ამის შედეგად ფაბრიკის კოლექტივმა დიდი რაოდენობით მიიღო ზეგეგმითი დაგროვება და რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 950 ათასი მანეთი.

ფაბრიკის კოლექტივი მიღწეულით როდი კმაყოფილდება, ახალ სამეურნეო წელს განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

შრომა გაჩაღდა

ჟოგულეთი. (საკ. კორ.). ქვედა ულიანოვკის კოლმეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთლის უხვ მოსავალს აქედანვე უყრიან საფუძველს. გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაისა და ციტრუსების საზამთრო სამუშაოები. დაამთავრეს მინერალური სასუქების შეტანა.

გაჩაღებულია მუშაობა პლანტაციის სამეჩხრის ლიკვიდაციისათვის. 1959 წელს გამოიყვანეს 5.200 ძირი შეხავსებული ჩაის ნერგი, ხოლო 1960 წელს გადვალისწინებულია 10 ათასი ნერგის გამოყვანა. უკვე მზად არის ექვსი ათასი ძირი. ამ საქმეში თავი ისახელეს კომკავშირლებმა ხ. თავართქილაძემ, მ. მოფარინაძემ, ფ. თურმანიძემ, ა. პაუტოვამ და სხვებმა.

კოლმეურნეობაში შეიქმნა ციტრუსების შემწამლელთა რგოლი. ივი წარმატებით შრომობს. უკვე შეწამლა 30 ჰექტარი ციტრუსების პლანტაცია.

ეს კოლმეურნეობა საზამთრო სამუშაოებში მოწინავეა ქობულეთის რაიონში.

საქართველო—უკრაინა

ვერა სიდორას მაგალითით

მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში კრება მიმდინარეობდა. განიხილავდნენ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას უკრაინელი მეფრინველის ვერა სიდორას შრომითი გმირობის შესახებ.

როცა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა კ. კოვზირიძემ შეკრებილთ სტატია გააცნო, დარბაზის ბოლოში წამოდგა თეთრხალათიანი შუა ტანის ქალიშვილი.

თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— სიტყვა ეძლევა მეფრინველე ქეთო კორკოტაშვილს.

ერთხანს იგი დუმდა, აზრებს იკრებდა, ხოლო შემდეგ თამამად დაიწყო თავისი უბრალო სიტყვა.

— გთხოვთ მომავალი წლისათვის მომამაგროთ 6 ათასი ქათამი, ვეცდები არ ჩამოვრჩე ვერა სიდორას და მივიღო მილიონნახევარი კვერცხი...

ქეთო კორკოტაშვილის ვალდებულებას კრების მონაწილენი ტაშით შეხვდნენ. ამით ისინი თითქოს ადასტურებდნენ, რომ ქეთო თავს გაართმევდა ამოცანას, რომელიც იკისრა.

ფრინველის მოვლის პირველი გამოცდილება მან მიიღო გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკაში, სადაც რამდენიმე თვეს მეფრინველედ მუშაობდა.

— კარგი ადამიანები იყვნენ იქ, — იხსენებს ქეთო კორკოტაშვილი, — მათ მასწავლეს ზოოტექნიკა, შემაყვარეს საქმე, რომელსაც პირველად მოვკიდე ხელი ჩემს სიცოცხლეში. მანამდე ხომ მხოლოდ შინ, ოჯახში ვმუშაობდი.

სამგორში ქეთოს მოზარდეულის მოვლა დაავალეს. იმ დროს მეურნეობა მხოლოდ იმართებოდა წელში. მუშაობისათვის თითქმის არ იყო არავითარი პირობები, მაგრამ ეს ვერ აშინებდა ქეთოს. მან ხიყვარულით მოჰკიდა ხელი საქმეს, და ამან მალე გამოიღო შედეგი. მოზარდეულის სიკვდილიანობა შეწყდა, წიწლები მშვენივრად იზრდებოდნენ, ფერმაში დამყარებულ იქნა სანიმუშო წესრიგი.

მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი კ. ცერცვაძე ამბობს:

— ქეთო ჩემი მარჯვენა ხელია. მეურნეობის ძალა მოზარდეულის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ქეთო მას შესანიშნავად უვლის. და ჩვენ უზრუნველყოფთ ჩვენი დავალების შესრულებას...

კრებაზე ქეთო კორკოტაშვილმა სურვილი გამოთქვა პირადად გასცნობოდა ვერა სიდორას, გაეზიარებინა მისი გამოცდილება.

საბჭოთა მეურნეობის დირექციამ გადაწყვიტა დელეგაცია გაეგზავნა ხარკოვის ოლქის მეურნეობა „ბორკინში“, სადაც ვერა სიდორა მუშაობს. დელეგაციის შემადგენლობაში შეუვანილ იქნა ქეთო კორკოტაშვილი.

ქართველ მეფრინველეთა დელეგაციას გულითადად შეხვდნენ უკრაინელები. დელეგაცია მიიღო უკრაინის მეფრინველეობის ინსტიტუტის დირექტორმა, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ნ. ვ. დახნოვსკიმ. მან ბევრი რამ საინტერესო უამბო საქართველოს წარმომადგენლებს საცდელ მეურნეობა „ბორკის“ შესახებ.

ამ მეურნეობას, რომელიც ხარკოვს ორმოცი კილომეტრით არის დაშორებული, 7 ათას ჰექტარზე მეტი უჭირავს. მის საფრინველეებშია როგორც სამამულო, ისე უცხოეთის თოთხმეტი სხვადასხვა ჯიშის 212 ათასი ქათამი.

ათი წლის წინათ აქ მოვიდა ქალიშვილი ვერა სიდორა, იგი სამუშაოდ ინკუბატორიუმში გაგზავნეს. საქმე რთული არ ყოფილა, მაგრამ ხიზუსტესა და სიფაქიზეს მოითხოვდა, ამას კი ვერა შინ ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული.

მუუაითი, გამრჯე ქალიშვილი მეორე წელს მოზარდეულის გაზრდაზე გადაიყვანეს. აქ მეცნიერები ცდებს აწარმოებდნენ. ვერა გაეცნო ზოოტექნიკური მეცნიერების „საიდუმლოებებს“, ამასთან ფრინველის მოვლის მეცნიერულ მეთოდებსაც.

1957 წლის გაზაფხულზე „ბორკინში“ დაიწყო 6 ათასი ქათმისათვის განკუთვნილი უზარმაზარი საფრინველის მშენებლობა, რაც გასული წლის ივნისში დამთავრდა. ვერამ ითხოვა იქ გაეგზავნათ სამუშაოდ. წინათ არასოდეს არ პყოლია მოხალელად ახე ბევრი ქათამი, მაგრამ ახალ საფრინველეში ყველა სამუშაო მექანიზმების დახმარებით სრულდება. მექანიზმების დახმარებით წარმოებს საკვების შემზადება და დარიგება, ქათმების დარწყულება, კვერცხის აკრეფა, საფენის დაგება და ალება.

საკმარისია ღილს დააჭიროთ თითი, რომ კორიდორის თავში გამოჩნდება მოზრდილ ბუნკერიანი ელექტროკარი, და ორი წუთის შემდეგ საკვები უკვე ჩაყრილია საკვებურებში. ფრინველი თავისუფლად დადის სტენდებს იქით. ამისათვის მოწყობილია სპეციალური ეზოები ანუ, როგორც აქ უწოდებენ, სოლარიუმები

ფართოგაბარიტიან საფრინველეში იყენებენ ეარეთწოდებულ ღრმა საფენს. ივი მეფრინველეს ათავისუფლებს სადგომის ყოველდღე წმენდისაგან. ქვესაგებს ნელ-ნელწადში ერთხელ გამოიღებენ ხოლმე ბუნდოზერით. როგორც მეცნიერებმა გამოარკვიეს, ეს არათუ ხელს არ უშლის ქათმებს, არამედ, პირიქით, მათთვის უკეთეს პირობებს ქმნის. საფენის მეოხებით საფრინველეში გარკვეული მიკროკლიმატი იქმნება. ზამთრობით აქ ტემპერატურა გაუთბობლად შედგენს 30-მდე გრადუსს, რაც ხელს უწყობს კვერცხლმდებლობის გადიდებას.

ყოველივე ამის შესახებ ქართველ მეგობრებს უამბეს ვერა სიდორამ, მეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ნ. ხუდინმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა რ. კუნინმა.

როცა საფრინველეს საექსკურსიოდ აბარებდნენ, ბუნებრივია, დაიბადა კითხვა რამდენი კვერცხის მოცემას შეძლებენ ქათმები წელიწადში? ახალი ხაფრინველის დიასახლისმა განაცხადა, რომ იგი ვალდებულებას კისრულობს 1959 წელს 6 ათას ქათამზე მიიღოს ერთი მილიონი კვერცხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის აღსანიშნავად სიდორამ ვადამდე შეასრულა თავისი ვალდებულება. მისთვის ჩაბარებულ ქათმებზე მან მილიონი კვერცხი მიიღო. ეს სწორედ იმდენია, რამდენიც მიმდინარე წელს საველმწიფოს მთელმა ხარკოვის რაიონმა მიპყიდა.

თითქმის ხუთ დღეს იყვნენ ქართველი მეფრინველეები სტუმრად ვერა სიდორასთან.

მეურნეობა „ბორკინში“ დელეგაციის ყოფნის უკანასკნელ დღეს გაიმართა კრება. იგი უკრაინისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. ამ კრებაზე ქეთო კორკოტაშვილმა წინადადება მისცა თავის მეგობარს გააჩაღონ ერთმანეთთან შეჯიბრება. სიდორამ სიხარულით მიიღო გამოწვევა და თავის სიპასუხო სიტყვაში მოუწოდა საქართველოს ყველა მეფრინველეს ჩაებან შეჯიბრებაში მეფრინველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის, რათა მშრომელებს მისცენ ფრინველის მეტი ხორცი და სხვა პროდუქტები.

ქეთო და ვერა ერთმანეთს გადაეხვივნენ, მაგრად ჩამოართვეს ხელი და შეთანხმდნენ, რომ მომავალი წლის ზაფხულში ვერა აუცილებლად ჩამოვა სამგორში, მანამდე კი მიწერ-მოწერა ექნებათ და ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ.

სამშობლოში ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ ქართველ მეფრინველეთა დელეგაციამ თავისი მოგზაურობის შესახებ ანგარიში ჩაბარა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის კრებას.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღებით და ინტერესით მოისმინეს ქეთო კორკოტაშვილის, ზოოტექნიკოს კლავდია ცერცვაძის ნაამბობი „ბორკინში“ მოგზაურობის შესახებ, იმის შესახებ, რაც მათ იქ ნახეს, როგორ დაუმეგობრდნენ უკრაინელ მეფრინველეებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სიმაღლეზე მეურნეობის კოლექტივის მიერ აღებულ ვალდებულებებში ნათქვამია:

ჩვენ, სამგორელები, ჩვენს ღირსულ ფვლილს შევიტანთ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში. 1960 წელს ჩვენი კოლექტივი სახელმწიფოს მისცემს 4 მილიონ 500 ათას კვერცხს ნაცვლად შარშანდელი 2 მილიონ 186 ათასისა; ფრინველის ხორცის წარმოებას აიყვანს 215 ტონამდე შარშანდელი 97 ტონის ნაცვლად; მეზობელ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს დავეხმარებით მეფრინველეობის აღმავლობაში და ამ მიზნით გამოვიყენებთ ერთ მილიონ ზიწილას ნაცვლად შარშანდელ 400 ათასისა.

კოლექტივი ისწრაფვის ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ თავისი სიტყვა შეასრულოს. შეჯიბრება დღითიდღე სულ უფრო ჩაღდება. მის პირველ რიგებშია კომკავშირელი ქეთო კორკოტაშვილი.

საქართველოს და უკრაინის მეფრინველეთა შეჯიბრება ხელს შეუწყობს მეფრინველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ორი მომძე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

ე. დომორაცკი,
ი. დეკანოსიძე.

* * *

სურათზე: ქ. კორკოტაშვილი.

2. ვალენტინა გაგანოვა

და მისი მეგობრები

— **სამნი** ვცხოვრობთ ერთად, — ამბობს დიასახლისი, — ჩემი მეუღლე, მე და ჩვენი პატარა „გაგანოველი“ სერგეი. ახალგაზრდა დედა ჰაერში ალერსით ათამაშებს საყვარელ პირმშოს.

მეგობრული საუბარი გაიმართა. ჩვენს წინ იჯდა ახალგაზრდა, 28 წლის, ოქროსფერ თმიანი, პირმრგვალი, ენერგიული ქალი. ლაპარაკობდა უბრალოდ, შინაურულად.

რამდენიმე დღეში დავუბრუნდები მშობლიურ საწარმოს. შინ გული არ მიდგება, თუმცა ჩემს სერგეის ძალიან უნდა, რომ მე ყოველთვის მასთან ვიყო.

— როგორ მიხვედით იმ დასკვნამდე, რომ მოწინავე ბრიგადიდან გადასულიყავით ჩამორჩენილ ბრიგადაში?

— ამ კითხვით ხშირად მოუმართავთ ჩემთვის. ეს მოხდა სრულიად უბრალოდ. აქ ჩვენი მოსაუბრის სერიოზული სახე პატარა გოგოს მხიარული გამომეტყველებით შეიცვალა. მან ხუმრობით განაგრძო: — რომ მცოდნოდა, ჩემს ნაბიჯს ამდენი მიმდევარი ეყოლებოდა, ალბათ ვერ გავბედავდი. ჩვენთან, საამქროს კომკავშირის კომიტეტის კრებებზე, ხშირად განვიხილავდით თვითეული ბრიგადის საქმიანობას, თვითეული წევრის მაჩვენებლებსა და საწარმოს ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთ კრებებზე ხშირად მესმოდა კრიტიკა იმ ბრიგადის მისამართით, რომელსაც ვ. შიბალოვა ხელმძღვანელობდა. ეს კი ძალიან ნაწყენი იყო. თქვენ რა გგონიათ, გვეკითხება ვალენტინა, იქ ცუდი გოგონები არიან? სრულიადაც არა! ყველას საფაბრიკო სკოლა აქვს დამთავრებული. და აი დამეხმარა აზრი გადავსულიყავი ამ ბრიგადაში.

— როგორ შეხვდნენ თქვენს წინადადებას ამხანაგები?

— პირველად არავის სჯეროდა ამის განხორციელება, მაგრამ მათთვის უარადღება არ მიმიქცევია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ახლო მეგობრები ბრიგადიდან მხარს დამიჭერდნენ...

ახე დაიწყო ახალგაზრდა ფეიქარი ქალისათვის სიძნელეებით აღსავსე დღეები.

— ბევრს უკვირს, — განაგრძობს საუბარს ჩვენი მასპინძელი, — როგორ შევძელი ასეთ მოკლე დროში ეს ჩამორჩენილი ბრიგადა გადამექცია მოწინავედ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის. წარმატებას მივაღწიეთ არცთუ ისე სწრაფად და არცთუ შემთხვევით.

საუბარში ფაბრიკის დირექტორის მოადგილე ჩაერია.

— ამ ბრიგადის ჩამორჩენა ბევრ ადამიანს ეტკინა. ბევრ ადამიანს ეტკინა, ბევრ ადამიანს ეტკინა, ბევრ ადამიანს ეტკინა,

კოლექტივი დიდი აღმზრდელია

161 საქმე განიხილა. მერე იცის ვინმემ ამის შესახებ? იციან მხოლოდ პასუხისგებაში მიცემულებმა და სასამართლოს მესვეურებმა. ნგენ ამ დღეებში შევისწავლეთ სასამართლო – პროკურატურის მუშაობა და მივუთითეთ, რომ სასამართლო პროცესი ძირითადად მოეწყოს იქ, ამ ობიექტზე, სადაც დანაშაული მოხდა. ამასთან სასამართლო პროცესზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ფართო მასების დასწრება. ეს ხელს შეუწყობს მასების აღზრდას, პასუხისმგებლობის ამაღლებას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ადამიანი, გულისხმიერად მოვეკიდოთ მას, გამოვიჩინოთ მისადმი მეტი ნდობა და უნარიანად ჩავუნერგოთ მოქალაქის კეთილშობილური თვისებები. ამას წინათ რაიონულ კომიტეტში მსჯელობა გვქონდა იმ საკითხზე, თუ როგორ დავეხმაროთ, როგორ შევუქმნათ ცხოვრების ნორმალური პირობები ამნისტიითა და პატიმრობიდან სხვადასხვა საბაბით განთავისუფლებულ მოქალაქეებს. რაიონულმა კომიტეტმა დაავალა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, სასოფლო საბჭოებს და სამეურნეო ხელმძღვანელებს ყველა ღონისძიება მიიღონ შესაფერის სამუშაოებზე მათ მოსაწყობად, საცხოვრებელი ბინებით უზრუნველსაყოფად, მთავარი ყურადღება მიაქციონ მათ შორის საagიტაციო-მასობრივ და აღმზრდელობითს მუშაობას. იქ, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა, სასოფლო საბჭოებმა და საწარმოდაწესებულებათა ხელმძღვანელებმა სწორად გაიგეს მათ წინაშე მდგომი ამოცანები, საქმე გამოსწორდა. ბევრი ამნისტირებული და პატიმრობიდან განთავისუფლებული მოქალაქე ჩაება ცხოვრების ფერხულში და ერთგული შრომით ისყიდის ჩადენილ დანაშაულს.

ამ დღეებში რაიონული კომიტეტის პლენუმზე განვიხილეთ საკითხი სოციალისტური წესრიგის დაცვის საქმეში საზოგადოების როლის ამაღლების შესახებ. ეს ღონისძიება, უეჭველია, დადებით შედეგს გამოიღებს.

ზრუნვა ადამიანზე მუდამ იყო, არის და იქნება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა. ამასთან ადამიანის აღზრდაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებამ. როგორც იტყვიან, საზოგადოებამ უნდა აღზარდოს ადამიანი.

შ. ჭუტიძე,
საქართველოს კპ ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი.

ვ. ვალენტინა გაგანოვა
და მისი მეგობრები

ის, რაც უცხო კაცს ვინმეს ვოლოჩეკის წითელდროშოვან ბამბეულის კომბინატში პირველად ყოფნისას თვალში მოხვდება, ეს არის რვა ათას ხუთასი ადამიანის ერთიანი სურვილი — წარმატებით შეასრულონ შვიდწლედით დასახული ამოცანები.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულმა წამოწყებამ. მისი ინიციატივის შემდეგ ვინშნოვოლოჩეკელი ფეიქრები ახლებურად უყურებენ თავიანთ საქმეს, მთელი გულისყურით ეკიდებიან მას და მეტ მზრუნველობას იჩენენ მშობლიური საწარმოს სახელისათვის.

კომბინატში გავაცანეს საინტერესო ინიციატივის ავტორი — ფაბრიკა „ბოლშევიჩკას“ მოწინავე მქსოველი კ. ვინოგრადოვა. იგი საქსოვ დაზგებზე მუშაობს და თვის დავალებებს 120 პროცენტით ასრულებს, მაშინ როცა ფაბრიკაში საშუალო გამომუშავება 111,9 პროცენტს უდრის. მაგრამ პატრიოტ ფეიქარს მარტო ეს როდი აკმაყოფილებს. აი, მაგალითად, მის მეზობლად მუშაობს მქსოველი გ. შუვალოვა, რომელიც დღიურ დავალებას ძლევს 104-108 პროცენტით ანადგენდა. ვინოგრადოვა დროდადრო გადადიოდა მეზობლის დაზგებზე, თვალყურს ადევნებდა მათს მუშაობას, არიგებდა ახალგაზრდა მქსოველს, მაგრამ მაინც ის არ გამოდიოდა, რაც მას სურდა. და სწორედ აქ დაებადა მოწინავე მქსოველს აზრი ცვლაში 4-6-ჯერ მოეხდინა შუვალოვას დაზგებზე ტილოსა და ქსელის ხარისხის შემოწმება. ამან სასურველი შედეგი გამოიღო. ასეა ყოველთვის, შრომაში რომ ხარ გართული, ხშირად ვერ ამჩნევ დაშვებულ შეცდომებს. გარეშე თვალი კი ამას ადვილად ამჩნევს. მალე თვით შუვალოვაც თვალყურს ადევნებდა ვინოგრადოვას დაზგებს. ასეთმა ურთიერთკონტროლმა საუკეთესო შედეგი გამოიღო. ახლა ორივე ფეიქარი მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ხამ ქსოვილს უშვებს.

ფაბრიკის კოლექტივმა მოიწონა ვინოგრადოვას ინიციატივა. ახლა მას 500 მქსოველი მუაულ მიმდევარი.

* * *

— თქვენ ალბათ გეცოდინებათ, — გვეუბნება კომბინატის მთავარი ინჟინერი ამხ. კ. კორობეიშჩიკოვი, — რომ ჩვენმა კოლექტივმა იკისრა გადააქციოს კომბინატი მხოლოდ „საუკეთესო ხარისხის საწარმოდ“. ამ სახალხო ინიციატივას საფუძვლად დაედო ვ. გაგანოვას მთელ რიგ მიმდევართა ახალი, ღრმა პატრიოტული ინიციატივა. ბრძოლამ კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელწოდების მოპოვებისათვის, რომლისთვისაც შეჯიბრებაში ჩაბმულია 168 ბრიგადა, საგრძნობლად აამაღლა მზა პროდუქციის ხარისხი. სამ კომუნისტურ შრომის ბრიგადას, რომელთა ხელმძღვანელები არიან ა. გავრიშევა, ლ. შიბალოვა და ბ. ვესელოვი, უფლება აქვთ საკუთარი ბეჭდით, ტექნიკური კონტროლის გაუვლელად, ჩაბარონ მზა პროდუქცია. იმის ინტერესი, რომ სამშობლოს მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცენ, კიდევ უფრო გაიზარდა ფეიქრებში კ. ვინოგრადოვას თაოსნობის შემდეგ. მაგრამ საქმე მარტო ამით როდი ამთავრა. შესანიშნავი პატრიოტული ინიციატივის ავტორები არიან სართავი ფაბრიკის მგეგმავი ბრიგადირები ნ. მიხაილოვა, ნ. პეჩორინა და ბ. დუდკინა. თავიანთ ინიციატივას მათ საფუძვლად დაუდეს ურთიერთკონტროლი, რითაც შეძლეს არა მარტო მიეღწიათ მაღალი მაჩვენებლებისათვის, არამედ საქსოვი ფაბრიკისათვის ჩაებარებინათ მხოლოდ მაღალი ხარისხის ნართი. როცა მუშაობა კარგად აეწყეს, სამივე ბრიგადირმა თავიანთი ბრიგადის წევრების ერთსულოვანი მხარდაჭერით უარი განაცხადა ტექნიკური კონტროლის განყოფილების მომსახურებაზე. კომბინატის ხელმძღვანელობა სიამოვნებით დეთანხმა პატრიოტების ამ წინადადებას. ცნობილია, რომ საწარმოს 100 ცალი თითისტარის დახარისხება 40 მანეთი უჯდება.

სამი ბრიგადირის თაოსნობას ჩვენი საუკეთესო ფეიქრები მხურვალედ გამოეხმაურნენ. საწარმოს საამქროებში ჩამოვაყალიბეთ „საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების“ სკოლები, სადაც გაერთიანებულია კოლექტივის ყველა წევრი თავისი პროფესიის მიხედვით.

კომბინატის კოლექტივის ნაკისრი ვალდებულება, — დამთავრა საუბარი მთავარმა ინჟინერმა, — მეტად თამამი, მაგრამ რეალურია...

წამოსვლის წინ, როცა ვალენტინა გაგანოვასთან გამოსამშვიდობებლად მივედით, მან გვითხრა:

— გადაეცით ჩემი სალამი ქართველ ფეიქრებს, ჩემს მეგობრებს. მალე შეხვედრამდე...

ოთარ არაგელიძე,
აბიგო თომაძე.
ვიშნი ვოლოჩეკი.

* * *

⊙ შარშან 3. გაგანოვას ინიციატივამ, რომელიც იბრძოდა დანადგარების წარმადობის გაზრდისათვის, კომბინატს საშუალება მისცა 1958 წელთან შეფარდებით მანქანების წარმადობა გაეზარდა 4,3 პროცენტით. ⊙ შრომის ნაყოფიერება ერთ მუშახელზე გადიდდა 5,1 პროცენტით.

★

სურათზე: ვ. გაგანოვას ბრიგადის წევრები.
ფოტო ო. არობელიძისა.

ტექნიკრევიუ ჯტექნიკა

ლითონი დაიოკეს

საჭირო და სასარგებლო საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიული ინსტიტუტის ზუსტი და მხატვრული სხმულის ლაბორატორია, რომელსაც ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს.

აქ ვერც თეთრხალათიან ადამიანებს დაინახავთ, არც კრიალა კარადები და სინჯარები მოგჭირთ თვალს. ირგვლივ ლითონის ნაჭრებია, ყუთები, იატაკზე მიწის გროვები... რა საჭიროა აქ, ლაბორატორიაში, ამდენი მიწა? — სხმულის ყალიბებისათვის, ხოლო ამ მიზნით თურმე ყოველნაირი მიწა როდი გამოდგება.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საყალიბე მიწებს იკვლევენ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკები რ. ზვენიცკაია და ა. სხლილაძე. უკვე შესწავლილია და წარმოებაში ინერგება მახარაძის რაიონში აღმოჩენილი ცეცხლგამძლე თიხა, ეგრეთწოდებული ბენტონიტი. წელს დამთავრებენ ჭიათურის და საჩხერის მიწების გამკვლევას. და თუ აქამდე საყალიბე მიწა რუსეთიდან შემოგვქონდა, რაც დიდ ხარჯებს იწვევდა, შესაძლებელი გახდა ამ მასალის ადგილობრივ გამონახვა.

უფროსებს არც უმცროსი მეცნიერი მუშაკები ჩამორჩებიან. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენს წამყვან საწარმოებში სულ ახალი და ახალი მეთოდების დანერგვაში.

ინჟინერ-ტექნოლოგმა მ. ლანჩავამ შეიმუშავა ბოვიდან გამოსული თუჯის ღარზე ელექტროდენით გახურების მეთოდი, რომელმაც შეცვალა სპეციალური ელექტროღუმელებში თუჯის გახურება. ეს მეთოდი ფართოდ დაინერგება ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, სადაც ჩატარდა მისი ქარხნული ექსპერიმენტი.

ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ო. ნიკოლაევმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამოსხმის საამქროს უფროსთან გ. წურკავასთან და უფროს ოსტატ ე. ჭიპაშვილთან ერთად შექმნა ბოყვის ახალი კონსტრუქცია.

უფროსმა ინჟინერმა ვ. ხიმშიაშვილმა და უმცროსმა მეცნიერმა მუშაკმა ა. ბოჟორიშვილმა შექმნეს ახალი ორრიგიანი ლითონპლასტმასის წნეხყალიბი, რომელმაც ამაოდ სხმულის ზომის სიზუსტე და ზედაპირის სისუფთავე.

შესწავლის პროცესშია ექვსკილინდრიანი ძრავის მუხლა ლილვის ზუსტი გამოსადნობი მეთოდით ჩამოსხმის საკითხი, რომელზეც მუშაობს უმცროსი მეცნიერი მუშაკი ნ. გოგოა. მან უნდა შეცვალოს ლილვის ტვიფრვით დამზადების მეთოდი. ჩამოსხმით მიღებულ ლილვს აღარ ესაჭიროება შემდგომი მექანიკური დამუშავება, მიღწეულია სხმულის მაქსიმალური სიზუსტე. ამ მეთოდის დანერგვა ლითონისა და მუშახელის დიდ ეკონომიას მოგვცემს.

ლაბორატორიაში გვერდს ვერ ავუვლით „გაფრქვევით მოლითონების“ ჯგუფს, რომელსაც უფროსი ინჟენერი ს. ხითარიშვილი ხელმძღვანელობს. გაფრქვევით მოლითონება ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ახალი მეთოდია მოლითონების დარგში. აქ ძირითადი სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის მიზანია ბრძოლა თერმულ კოროზიასთან.

ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში კვების მრეწველობის მანქანები უეანგავი ფოლადისაგან მზადდება. ქარხანას ამაში სამი მილიონი მანეთი ეხარჯება ყოველ წელს. გაფრქვევით მოლითონების გამოყენებით ჩვეულებრივი ლითონის სხმულები იფარება ალუმინის თხელი ფენით და შემდეგ იეტენთება მეავგამძლე ნივთიერებები. ამრიგად, იზოგება ათასობით ტონა უეანგავი ფოლადი, რაც იძლევა ათეულ მილიონობით მანეთის ეკონომიას.

გაფრქვევით მოლითონება პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გამოიყენეს დეკორაციული მიზნით. ამ მეთოდის საქართველოში დანერგვა ს. ხითარიშვილს ეკუთვნის და გულისხმობს ქვითნაკეთები ძეგლების დაცვის მიზნით ბრინჯაოს თხელი ფენით დაფარვას. მისი გამოყენება ლითონის დიდ ეკონომიას იძლევა.

შვეიზედოთ ლაბორატორიის პატარა ოთახში, რომელსაც პირველად ვერც კი შეამჩნევთ. თაროებს ამშვენებს ძველი ისტორიული საკულტო, საყოფაცხოვრებო და ლითონის სხვა მხატვრული სხმულები — ქორბუდა ირემი, ჯიხვი, ჯიქი, ქართული ორნამენტით და ირმების გამოსახულებით მოხატული ცულის პირი.

უყურებთ და ფიქრობთ:

— საიდან გაჩნდა აქ ეს ნივთები?

თურმე ლაბორატორიის მუშაკები არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილ ძველ სხმულებზე დაკვირვებით სწავლობენ ძველი ჩამოსხმის მეთოდებს. ვ. ხიმშიაშვილი და ა. ბოჟორიშვილი მუშაობენ ნაპოვნი ნივთების ასლების ზუსტი მეთოდით ჩამოსხმაზე. მათ გააცოცხლეს და ნათელი გახადეს დღემდე უცნობი, ჩვენში ძველად არსებული ჩამოსხმის ტექნოლოგია.

სულ ორი წელია, რაც ეს ლაბორატორია არსებობს, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ფართოვდება მისი თემატიკა, დღითიდღე მეტი სარგებლობა მოაქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

ს. მამარაშვილი.

ტრაქტორი „რიონი“— სოფელს

თავისი პირველი პროდუქცია — ხაბაღე-ხაპლანტაჟე ტრაქტორების საცდელი პარტია გამოუშვა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ხაავტომობილო ქარხანამ.

ეს ქარხანა, რომელსაც ზრდისა და გაფართოების დიდი პერსპექტივები აქვს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსურ მექანიზაციაში.

მცირეგაბარიტიან ტრაქტორ „რიონის“ სერიული წარმოება 1960 წელს დაიწყება. იგი ძირითადად განკუთვნილია მებაღეობაში, მებოსტნეობა-მებაღჩეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში იმ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, რომელთა განხორციელება დიდი გაბარიტის საშუალო და მძიმე წონის ტრაქტორებით არ ხერხდება.

ტრაქტორ „რიონის“ გაბარიტული განია 600 მმ., წონა — 180-მდე კილოგრამი, სიმძლავრე — ხუთი ცხენის ძალა. მისი სამუშაო სიჩქარე საათში ერთიდან ხუთ კილომეტრს შეადგენს.

შესაბამისი კიდული და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით ტრაქტორს შეუძლია ოცზე მეტი სხვადასხვა სახის შრომატევადი სამუშაოს შესრულება. მემცენარეობაში ნათესებისა და ნარგავების რიგთაშორისების დამუშავებასთან ერთად იგი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ტვირთის გადაზიდვაზე, აგრეთვე როგორც ელექტროენერგიის წყარო ელექტროწველასა და ცხვრების პარსვაზე. ამასთან ტრაქტორს თავისუფლად შეუძლია იმუშაოს 30 გრადუსამდე დაფერდების ადგილებში. ტრაქტორ „რიონის“ მომსახურება მეტად მარტივი და ადვილია, მისი მართვა ყოველ კოლმეურნეს შეუძლია.

ქუთაისის ავტოქარხნის კოლექტივი უდიდესი ინტერესით ეცნობა და გულდასმით სწავლობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დასკვნებს და დადგენილებას. ტრაქტორმშენებელთა გადწყვეტილებაა მთელი ენერგია მოახმარონ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებას, უკვე 1960 წელს სოფლის მეურნეობას მისცენ ახალი ტიპის ათასობით ტრაქტორი.

შ. ჯაბახაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.



ხალხისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები შემოქმედებითი შრომის ფერხულში არიან ჩაბმულნი.

კოლოდიური ქიმიის ლაბორატორიაში ყოველდღე ეურება საფუძველი ორგანული და მინერალური ნაერთების ახალ გამოკვლევასა და მიღებას.

პროფესორი მიხეილ შიშნიაშვილი და მთელი კოლექტივი ენერგიულად მუშაობენ ახალი სახის მაღალოგიურად აქტუალური ორგანულ-მინერალური ნაერთების მიღებაზე და მათ გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში. ლაბორატორიაში მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა მცენარეთა ქლოროზით დაავადების წინააღმდეგ ხაბრძოლველად და სხვ.

მეცნიერ თანამშრომელთა დიდი ჯგუფი წარმატებით წყვეტს საქართველოს ბენტონიტური თიხებიდან მაღალი კოლოიდური ფრაქციების მიღებას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, მაგალითად, მაღალხარისხოვანი თიხის ხსნარების მოსამზადებლად ბურღვის პროცესებისათვის, ქაღალდის წარმოებაში შემავსებლად, ახევე დიდად იყენებენ კერამიკაში, ფარმაკოლოგიაში.

მ. ინასარიძე.

* * *

სურათზე: პროფესორი მიხეილ შიშნიაშვილი და უფროსი ლაბორანტი მერი გერგია მუშაობენ ახალი სახის ორგანულ-მინერალური ინდივიდუალური ნაერთების მიღებაზე.

დეპუტატი— ხალხის მსახური

ქალაქის ერთ-ერთ უბანს არა ჰქონდა კეთილმოწყობილი გზა. ამ უბნის ამომრჩევლებმა თავიანთ დეპუტატს ა. ქასრაშვილს მიმართეს თხოვნით გზის კეთილმოწყობის შესახებ. დეპუტატმა ეს საკითხი ქალაქის საბჭოს აღმასკომის წინაშე დააყენა. აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება და დაამტკიცა სამუშაო გეგმა. გზის კეთილმოწყობის საქმეს თვით დეპუტატი ა. ქასრაშვილი ჩაუდგა სათავეში. ქალაქის კეთილმოწყობის კანტორამ ტრანსპორტი, მუშახელი გამოჰყო და გზა მალე შეკეთდა.

შარშან, როცა საქალაქო საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. მაჩალაძე ამომრჩევლს ანგარიშს აბარებდა, ამომრჩევლებმა მოითხოვეს ქალაქის ცენტრში მოწყობილიყო სკვერები და გაზონები. ეს საკითხი დეპუტატმა ა. მაჩალაძემ საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე დააყენა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქის გამწვანებისა და კეთილმოწყობის შესახებ. დეპუტატმა ფართოდ ჩაება ამ საქმეში აქტივისტები.

ამჟამად მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში მოწყობილია 2.000 კვ. მეტრამდე გაზონი, ბევრი სკვერი და ბაღი, მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ქალაქში დაგულ იქნა 80.000-მდე მცენარე: პალმები, მაგნოლია, ტუია, კედარი, ვერხვი, ჭადარი.

ნაყოფიერად მუშაობენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუდმივი კომისიები. განსაკუთრებით ეს ითქმის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის კომისიაზე (თავმჯდომარე ექიმი თ. ჩხეიძე).

ამ კომისიამ აქტივთან ერთად მოაწყო რეიდი, ქალაქში სანიტარული მდგომარეობა შეისწავლა. რეიდში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის აქტივისტებმა: ექიმებმა, მასწავლებლებმა და დეპუტატებმა. შემოწმების შედეგები განიხილა ქალაქის საბჭოს აღმასკომმა. განხორციელდა საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ქალაქის ზოგიერთ უბანში ადგილი ჰქონდა უნებართვო ბინათმშენებლობას, სამოსახლო მიწების დატაცებას. დეპუტატმა დ. ობოლაძემ ეს საკითხი დააყენა ქალაქის საბჭოს აღმასკომის წინაშე. საკითხი საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და აღმასკომის მსჯელობის საგანი გახდა.

ბ. პატარიძე,
ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების ხაქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ზეიმი კირნათში

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა სოფელ კირნათის ეკონომიკა. ჩაი და თამბაქო, დაფნა და ხეხილი წარმოადგენენ ამ სოფლის კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების წყაროს. სოფელს ამშვენებს კოლმეურნეთა ლამაზი ოდა-სახლები, საზოგადოებრივი შენობები, ელექტრობა და რადიო.

ამაღლდა მშრომელთა კულტურული დონე. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კირნათში ვერ ნახავდით წერა-კითხვის მცოდნეს, ახლა აქ ბევრია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანი. კირნათის მშრომელებს ემსახურება სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები.

კირნათში ახალი — 1960 წელი ახალი გამარჯვებებით დაიწყო.

ამას წინათ თავი მოიყარეს სოფლის მშრომელებმა, მოსწავლეებმა, კირნათს ეწვივნენ კოლმეურნეები მეზობელი სოფლებიდან. ისინი მოვიდნენ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა კირნათში სკოლა-ინტერნატის გახსნას.

ეს ინტერნატი მოკლე ვადაში აშენდა, უზრუნველყოფილ იქნა ყველა სახის სასკოლო ინვენტარით.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმნენ სკოლა-ინტერნატის პიონერები.

— მაღლობა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ბედნიერი ბავშვობისათვის, — თქვეს პატარებმა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მეზობელი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებმაც ძვირფასი საჩუქრები გადასცეს სკოლა-ინტერნატს. აღსაზრდელებმა მიიღეს დასაკარი ინსტრუმენტები, სპორტული ინვენტარი, ფოტოაპარატები და სხვ.

ზეიმი იყო კირნათში.

დ. ღიასამიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ბათუმი.

მუსიკის გაკვეთილზე.

ფოტოტიუდი ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

რესპუბლიკური კონკურსი



საუკეთესო საგაზეთო ნარკვევისა და პუბლიცისტური სტატიისათვის

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი აწყობს კონკურსს საუკეთესო საგაზეთო ნარკვევისა და პუბლიცისტური სტატიისათვის, რომლებშიც გამოხატულებას პოვებს საბჭოთა საქართველოს მიღწევები 40 წლის მანძილზე.

კონკურსის მიზანია შეიქმნას იდეურ-მხატვრულად სრულყოფილი ნარკვევები და პუბლიცისტური სტატიები, რომლებიც ასახავენ ჩვენს საბჭოთა ხანამდვილეს, ქართველი ხალხის წარმატებებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის ყველა დარგში, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების გმირულ საქმიანობას.

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

კონკურსი ეწყობა 1960 წლის 1 მარტიდან 1960 წლის 1 ნოემბრამდე.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ორიგინალური, ადრე გამოუქვეყნებელი ნარკვევი და სტატია.

ხელნაწერი იგზავნება დალუქული დევიზიანი კონვერტით. ამავე კონვერტში უნდა იყოს ჩადებული დახურული მცირე კონვერტი, სადაც ცალკე ფურცელზე აღინიშნება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნარკვევი და სტატია ავტორს არ უბრუნდება.

ნარკვევი და სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც ქართულ ენაზე, ისე რუსულზე.

ის ნაწარმოები, რომელსაც პრემია მიენიჭება, გამოქვეყნდება პრესაში.

ნარკვევისა და სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანით დაბეჭდილ 10-15 ფურცელს.

საუკეთესო ნარკვევისა და სტატიისათვის დადგენილია პრემიები:

ორი პირველი პრემია — თითოეული 2.500 მანეთი;

ორი მეორე პრემია — თითოეული 2.000 მანეთი;

ორი მესამე პრემია — თითოეული 1.000 მანეთი.

ნაწარმოები უნდა გაიგზავნოს მისამართით: თბილისი, ლენინის ქუჩა № 63. ჟურნალ „მნათობის" რედაქციას კონკურსისათვის.

მუსიკოსი ლაურეატები

ბაქო, 6 თებერვალი. მუსიკოს-შემსრულებელთა ამერიკეკავკასიის პირველ კონკურსზე, რომელიც სახელმწიფო ფილარმონიაში და კონსერვატორიის დარბაზში მიმდინარეობს, უკვე ცნობილი გახდნენ გამარჯვებულნი ვიოლონჩელისტთა შორის. პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა ძ. გეგორქიანმა (ერევანი), მეორე ადგილი გაიყვეს ე. ისაკაძემ (თბილისი) და მ. დრობინსკიმ (ბაქო), მესამე ადგილი დაიკავა კ. ალიევმა (ერევანი). წამახალისებელი დიპლომი მიეკუთვნა ფ. აკოფიანს.

დამთავრდა პიანისტთა კონკურსის მეორე ტური. მესამე ტურზე დაშვებულია 12 პიანისტი, მათ შორის ც. კვერნაძე, ჯ. ბალანჩივაძე, ა. ნიფარაძე და პ. დიმიტრიადი. 11 თებერვალს გაიმართება ლაურეატი პიანისტების დასკვნითი კონცერტი.

ა. ლერნერი.

სამოცდაათათასიანი გამარჯვებული

ორ თებერვალს თბილისის მეცხრამეტე საშუალო სკოლაში არაჩვეულებრივი დღე იყო. მეათეკლასელ ავთანდილ თომაშვილს გამარჯვებას ულოცავდნენ მასწავლებლები, მშობლები, ამხანაგები.

ავთანდილმა სახვითი ხელოვნებისა და მწერლობის მსოფლიო საბავშვო გამოფენაზე გაიმარჯვა. გამოფენა გახსნილი იყო ინდოეთის დედაქალაქში — დელში, მონაწილეობდა სამოცდაათი ათასზე მეტი ბავშვი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. თვითეულს ოთხი ნამუშევრის წარდგენის უფლება ჰქონდა.

ქართველმა მოსწავლემ გაგზავნა აკვარელით შესრულებული ნამუშევრები: „ხევსურთა ფარიკაობა", „კალათბურთელები", „გოგონას პორტრეტი" და „დაუპატიჟებელი".

გამოფენაზე თორმეტმა ბავშვმა მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს ჯილდო, რომელიც ძველინდური ორნამენტებითა და ბუდას ბარელიეფით არის შემკული.

ამ ჯილდოსთან ერთად ავთანდილ თომაშვილის სახელზე ინდოეთიდან მოვიდა დიპლომიც.

გამოფენაზე ჰავანაში

ჰავანა, 7 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტები ვ. კოლოკოლნიკოვი და ნ. ჩიგირი იუწყებიან: საბჭოთა კავშირის მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგის მიღწევათა გამოფენამ გუშინ ფართოდ გაუღო კარი კუბელებს.

დილადანვე მოედანზე და კაზმული ხელოვნების, სასახლეში, სადაც მოთავსებულია გამოფენა, გამოცოცხლება იყო. გამოფენის გახსნის მომენტისათვის სასახლის შენობასთან შეიკრიბა ათასობით ჰავანელი და კუბის სხვა ქალაქების მცხოვრები, ასობით ადამიანმა მოიყარა თავი ღია მოედანთან, სადაც ექსპონირებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ავტომობილები.

დღის 12 საათია. პირველი ათობით დამთვალიერებელი შედის გამოფენის დარბაზებში, ხოლო ნახევარი საათის შემდეგ გამოფენა უკვე ხალხით აივსო. დიდი ჯგუფები იკრიბებიან კოსმოსის პირველი მზვერავების მაკეტების მოდელებთან, რომლებიც აკეთებულია სამრეწველო საწარმოთა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, უახლეს ჩარხებთან და მრავალ სტენდთან, მედიცინისა და განათლების, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის განყოფილებებში.

გამოფენის გახსნის პირველ წუთებიდანვე მუშაობას იწყებენ სტენდისტები და თარჯიმნები. მათ აძლევენ უამრავ კითხვას: საბჭოთა ქარხნებსა და ფაბრიკებში შრომის ორგანიზაციის შესახებ, ხელფასის სისტემის, სამედიცინო მომსახურებისა და განათლების შესახებ, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, შრომისა და დასვენების შესახებ.

დამთვალიერებლები დიდი ინტერესით ისმენენ საბჭოთა გამოფენის მუშაკების ახსნა-განმარტებებს, ზოგჯერ დაობენ, კამათობენ, მაგრამ ყოველთვის მიდიან იმ დასკვნამდე, რომ გამოფენამ პირველად აუხილა მათ თვალი და დაანახვა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მათი მისწრაფება, ის გრანდიოზული წარმატებები, რომლებიც მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა ქვეყანამ მოიპოვა თავისი არსებობის 42 წლის მანძილზე. ჩვენ ნაკლებად ვიცნობდით თქვენს ქვეყანასა და თქვენს მიღწევებს, აცხადებს ბევრი მათგანი. დიქტატურის დამხობამდე კუბაში გამეფებული ამერიკული პროპაგანდა გულმოდგინედ გვიმალავდა ფაქტებს თქვენს შესახებ, ამახინჯებდა მათ. გამოფენამ მოსპო ყველა ეს დაბრკოლება.

თანდათან ავსებენ შთაბეჭდილებათა წიგნებს. აი ზოგიერთი პირველი ჩანაწერი. „ჩვენ მოვითხოვთ ურთიერთობის გაფართოებას მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, — წერს დანიან გონსალეს დელა კრუსი. — ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვივაჭროთ ყველა ქვეყანასთან ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ჩვენი ეკონომიური მომავლის ინტერესებისათვის. ჩვენი ხალხი არავის მისცემს ნებას, რომ იგი კვლავ დაიმონონ... მხურვალე სალამი საბჭოთა ხალხს თავისუფალი კუბელისაგან, რომელიც თავისი რევოლუციის ნაყოფით სარგებლობს".

ბევრი ხალხია კულტურის განყოფილებაში. აქ დადგმულია როიალი „ესტონეთი" და პიანინო „წითელი ოქტომბერი", რომლებიც ექსპონირებული იყო საბჭოთა გამოფენებზე ნიუ-იორკსა და მეხიკოში. მათი ხმა განუწყვეტლივ ისმის. ბევრს სურს გასინჯოს კუბელი სალაყბოო ინსტრუმენტები. მათი აკომპანემენტით ახალგაზრდობა მღერის ხალხურ და რევოლუციურ სიმღერებს. კუბელი ქალიშვილები და ჭაბუკები განსაკუთრებული გრძნობით ასრულებენ კუბაში ყველაზე პოპულარულ სიმღერას კუბის რევოლუციის ჰიმნს „26 ივლისის მოძრაობას".

ჰავანაში საბჭოთა გამოფენის მუშაობის პირველი დღე ცხადყოფს გამოფენის დიდ წარმატებას კუბელთა შორის. მარტო პირველი ხუთი საათის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 35 ათასამდე კაცმა. დღის ბოლოსთვის ეს ციფრი ერთიორად გადიდდა. ვვიან საღამოს გამოფენის დახურვის შემდეგ დამთვალიერებლები დიდხანს არ დაშლილან, დაცხოველებით მსჯელობდნენ იმაზე, რაც ნახეს გამოფენის დარბაზებში.

ამერიკის ინტერვენცია დომინგოში

ნიუ-იორკი, 8 თებერვალი, (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი სან-ხუანიდან (პუერტო-რიკო) იუწყება, რომ 6-7 თებერვალს დომინგოს რესპუბლიკის დედაქალაქ სიუდად-ტრუხილიოში მივიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის შვიდი ხომალდი, რომლებშიც არიან საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცები. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დომინგოს რესპუბლიკის ემიგრანტებს შორის, რომლებიც პუერტო-რიკოში ცხოვრობენ, ეს ფაქტი მიიჩნიათ „იმის დადასტურებად, რომ ვაშინგტონმა მხარი დაუჭირა გენერალ ტრუხილიოს (დომინგოს რესპუბლიკის სამხედრო დიქტატორი. — რედ. შენიშვნა) კრიტიკულ მომენტში". კორესპონდენტი დასძენს, რომ საზღვაო ქვეითი ჯარი შესაძლებელია გადასხეს იმ მიზნით, რომ თავის ხელში აიღოს კონტროლი.

ვაშინგტონიდან გადმოცემულ ცნობაში „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი ეხება დომინგოს რესპუბლიკაში მდგომარეობის გამწვავებას და აღნიშნავს: „შეერთებული შტატების მთავრობა დიდად შეშფოთებულია იმით, რაც დომინგოს რესპუბლიკაში ხდება. ოფიციალური პირები აქ შიშობენ, რომ თუ დაპატიმრებანი და მხეცობა გაგრძელდა, მთავრობა, რომელიც შეცვლის ტრუხილიოს რეჟიმს, შეიძლება აღმოჩნდეს იმ ტიპის მთავრობა, რომელიც პრემიერმა კასტრომ შექმნა კუბაში".

* * *

ჰავანა, 8 თებერვალი. (საკდესი). გუშინდელი გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ დომინგოს რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობასა და ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილების გადასხმას იქ.

გაზეთი, „რევოლუციონი" ამის გამო წერს: უკვე რამდენიმე დღეა სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმირებული წრეები ამზადებდნენ ამ ინტერვენციას. საბაბი იყო ჰუმანურობა, ხოლო მიზანი — ტრუხილიოს ტირანიის გადარჩენა მასთან ერთად ან უმისოდ. თუ ტრუხილიოს ტერორის აპარატს ჯერ კიდევ შეუძლია თავი გაართვას მდგომარეობას, მაშინ გეზი აღებულ იქნება ტრუხილიოზე; ხოლო თუ ხალხის ბრძოლას შეუძლია დაამსხვრიოს რეპრესიების ეს რეჟიმი, მაშინ მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, რომელიც უკუაგდებს ხალხის მოთხოვნებს და პირველ პლანზე დააყენებს ძალებს, რომლებიც „წესრიგსა და საკუთრებას" იცავენ; ეს ნიშნავს ტრუხილიოს რეჟიმის გადარჩენას, მაგრამ უტრუხილიოდ.

ეს მაქინაციები უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება. საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმა და ფლოტის ყოფნა დომინგოს ნაპირებთან მიზნად ისახავს მხოლოდ უკვე დაწყებული მოქმედების გამაგრებას. საქმე ეხება ტიპიურ ინტერვენციას, იმის მსგავსს, როგორიც მომდინარე საუკუნის დამდეგს განხორციელდა. ეს არის პანამერიკული კონფერენციების გადაწყვეტილებათა აღმაფოთებელი დარღვევა. ეს არის „ჩაურევლობის" პრინციპის აბუჩად აგდება.

ამავე დროს გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, ცდილობენ რა გადაარჩინონ მათთვის სასურველი რეჟიმი დომინგოს რესპუბლიკაში, ისწრაფვიან შეინარჩუნონ პლაცდარმი კუბის წინააღმდეგ ინტერვენციისათვის. გაზეთი „კომბატე" წერს, კერძოდ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების უახლოესი მიზანია თავიდან მოიშორონ ტრუხილიო, დააყენონ მის ადგილზე სხვა მარიონეტული მთავრობა და განაგრძონ იქიდან კუბაზე თავდასხმა".


0 100 400 კმ.
ჰავანა
მარიანაო
ბინარ-ბინარ
ვინდასანტა
სანტა-კლარა
სანტიაგო
ბარანკა
ბანესი
ბანსანიერი
ბუენტენტეა
ბუენტენტეა
ბანტიაგო
ბუენტენტეა
ბუენტენტეა
ბანტიაგო
ბუენტენტეა
ბანტიაგო
ბუენტენტეა
ბანტიაგო